გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში
   (სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

2. **თემატიკა:** მოქალაქეთა მოაწილეობა.

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:** ფატიმა შავაძე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი, ტელ: 598588638

(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
   (მაქსიმუმ ერთი გვერდი)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

თანამონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის პრაქტიკა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტის განხორციელებამდე არ არსებობდა. 2016 წელს ა/ო „მწვანე კავკასიას“ ინიციატივით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტთან და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან პარტნიორობით, პირველად საქართველოში განხორციელდა ქალაქის თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის „თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში“ ფარგლებში, რომლის შედეგად იქნა შემუშავებული საპროექტო წინადადება „სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქ.თეთრიწყაროს ცენტრალურ უბანში“

პროექტის ფარგლებში, ქალაქის სივრცით განვითარებაზე ხედვის შესამუშავებლად და თეთრიწყაროს ცენტრალური უბნების განვითარების დაგეგმვაში მოსახლეობის აქტიური ჩართვისათვის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი. "მწვანე კავკასიამ" სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან შექმნილ სამუშაო ჯგუფებს ჩაუტარა ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების

პრინციპების, ურბანული განვითარებისა და საზოგადოებრივი სივრცეების ათვისების თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტის საკითხებზე.
მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად დასაგეგმი სივრცე მოიცავდა ქალაქის ცენტრალურ უბანს, კერძოდ, თამარ მეფისა ქუჩისა და ჭავჭავაძის ჩიხების მიმდებარე ტერიტორიას: „თეთრი წყარო“, მოედანი, ფუნქციადაკარგული შენობები (ყოფილი კომისარიატი, საბავშვო ბაღი, პროკურატურა, ბიბლიოთეკა), ასევე, ყოფილი კინოთეატრი და დაცლილი წყალსაცავი („ტბა“), და მათ გარშემო არსებული კეთილმოუწყობელი პარკები და სკვერები. ქალაქის თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, აღდგეს სარეკრეაციო ზონა, ხელოვნური წყალსატევის („ტბა“) ჩათვლით. პროექტი ითვალისწინებს ხელოვნური ტბის აღდგენას, მის გარშემო - ბულვარს და მიმდებარე წიწვოვანი სკვერის კეთილმოწყობას, ასევე, კერძო ინვესტორებისთვის ტბის პირას სასტუმროსა და წყალზე რესტორნის აშენების უფლების მიცემას, საპროექტო წინადადების გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის სამწილიანის სამოგმედო გეგმით პროეტის მიახლოებითი ღირებულება 1 500 000 ათას (მილიონ ხუთასი ათასი) ლარს შეადგენს, რომელიც შესაძლებელია კერძო და საჯარო თანამშრომლობის გზით, ეტაპობრივად განხორციელდეს. რამდენადაც პროექტი შეესაბამება ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის ამოცანებს, მის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტმა გარკვეული წილი დაფინანსება შეიძლება მიიღოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

თეთრიწყაროში განხორციელებული თანამონაწილეობითი გამოცდილების პროცესი გაანალიზებულ იქნა ბეჭდური სახით გამოცემულ პუბლიკაციაში "თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში". ელექტრონილი სახით პუბლიკაცია განთავსდა ორგანიზაციის საიტზე და ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 26 იანვარს "მწვანე კავკასიამ" გამართა კონფერენცია და საზოგადოებას წარუდგინა მოქალაქეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად შემუშავებული საპროექტო წინადადება, რომელსაც მაღალი მხარდაჭერა გამოუცხადეს რეგიონულ დონეზე და აქცენტები გაკეთდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის აპრობირებული ინსტრუმენტების სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გაზიარების აუცილებლობაზე.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის მხარეში შემავალი თვითმმართველი ერთეულია. მუნიციპალიტეტში 84 დასახლებული პუნქტია, მათ შორის ერთი ქალაქი (ქ.თეთრიწყარო), ერთი დაბა (მანგლისი) და 82 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 20 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია 1 174,5 კმ^2-ია, 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობა 21,127 -ს შეადგენს. აქედან 10,335 მამაკაცი, ხოლო 10,792 ქალი. 4,534 ადამიანი ცხოვრობს ქალაქად (ქ.თეთრწყაროსა და დაბა მანგლისში),

ხოლო 16,593 სოფლად. მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 82%-ს ქართველები შეადგენენ, ხოლო 18% ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს (აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები).

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარეშე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქოტრები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

შიდა ფაქტორები: პროექტს გააჩნდა ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი მხარდაჭერა

გარეშე ფაქტორები: ქ.თეთრიწყარო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია, მაგრამ ბოლო ათწლეულებში ქალაქის განვითარება არ ხდება და 2002-დან 2014 წლამდე პერიოდში მისი მოსახლეობა 23%-ით შემცირდა. თეთრიწყაროს ზომიერად გრილი ჰავა და მთის ეფექტური ლანდშაფტი, თბილისის, რუსთავისა და მარნეულის სიახლოვე მას მაღალ საკურორტო-ტურისტულ პოტენციალს ანიჭებს, რომელიც გამოუყენებელია ქალაქში ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, კერძოდ, ქალაქს აკლია სანახაობრივი სარეკრეაციო ზონები, რომლებიც მიმზიდველი იქნებოდა ინვესტორებისათვის სასტუმროებისა და კვების ობიექტების ასაშენებლად.

6. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**
  პროექტის განხორციელება დაიწყო 2016 წელს. თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის მიმდინარეობა:

⇨ საჭიროების შეფასება / დაგეგმვის არეალის განსაზღვრა
⇨ საინფორმაციო კამპანია
⇨ სამუშაო ჯგუფების ფორმირება საჯარო შეხვედრაზე
⇨ საერთო ხედვის შემუშავება
⇨ შედეგების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება.

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი** (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*
  (იხ.დანართი 1: მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი)
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე კავკასია“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და ადგილობრივი მოსახლეობა.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის** (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) **შესახებ;**

პროექტი არ ითვალისწინებდა რაიმე სახის ფინანსურ ხარჯებს ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, შეხვედრების ორგანიზება ხდებოდა გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში და ტექნიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით, ძირითადად გამოყენებული იყო ადმინისტრაციული რესურსი.

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

დაგეგმვის და განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი პრობლემები არ გამოკვეთილა

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულნი იყვნენ: არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე კავკასია“, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და საბჭოსთან არსებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მოსახლეობით.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

7. **მიღწეული შედეგი:**

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

- მოხდა თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის უცხოური გამოცდილების პილოტირება
- შედგა თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციასა და მოსახლეობას შორის
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ საკუთარი ფუნქციების პრაქტიკაში განხორციელების გამოცდილება მიიღო

- საზოგადოებასთან დიალოგის განვითარების მექანიზმების დანერგვის და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდა, თანამონაწილეობით დაგეგმვა - პროცესი, რომელიც საზოგადოებას სშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქალაქის ურბანული განვიათრების პროცესში;
- საზოგადოებას და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონფლიქტების პრევენცია;
- ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა;
- ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მოქალაქეების გააქტიურება, დემოკრატიული ჩართულობის მექანიზმების, საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების საერთო პასუხისმგებლობის ფორმირება.
- შემუშავდა ქალაქის კეთილმოწყობის საპროექტო წინადადება (იხ.დანართი 2- პროექტის პრეზენტაცია)

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

პროექტი ითვალისწინებდა თანამონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის გამოყენებას, კერძოდ, ქ. თეთრიწყაროს ცენტრალური უბნების განვითარების დაგეგმვაში, მოსახლეობის აქტიურ ჩართვას, ვინაიდან, თუ როგორი უნდა იყოს ქალაქის ცენტრის იერსახე, მხოლოდ ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის, მნიშვნელოვანია თავად ქალაქის მოსახლეობის ხედვა და იდეები. პროექტის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისათვის, მიმდინარეობდა აქტიური საინფორმაციო კამპანია, შედეგად მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, აქტიურად ჩართულიყვნენ სამუშაო ჯგუფებში და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში შეეტანათ საკუთარი წვლილი (დანართი 3 - საინფორმაციო მასალები).

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა, ქალაქ თეთრიწყაროს განვითარების პოტენციალი.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;**

პროექტი მოწონებულ იქნა საზოგადოების მიერ და საპროექტო წინადადება „სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქ.თეთრიწყაროს ცენტრალურ უბანში“ გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მომავალი წლების სამოქმედო გეგმაში. ასევე, მუნიციპალიტეტის მერიამ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე სათანადო შუამდგომლობის თხოვნით, წერილობით მიმართა ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს მიწის მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. (დანართი 4 - დოკუმენტები)

9. **საკრებულოს როლი:**
    - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
    - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
    - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან დამოკიდებულება ინიციატივის მიმართ პოზიტიური იყო.

10. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წელს მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, უნდა მომზადდეს ყოფილი ტბის ტერიტორიის რეკრეაციისა და მცირე ზომის ტბის დაგუბების საპროექტო დოკუმენტაცია.

11. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

- გიორგი აბულაძე, ა/ო „მწვანე კავკასიის თავმჯდომარე, ტელ: 598677179
- ლელა გიგაური, მერის თანაშემწე, ტელ: 599522730, ელფოსტა: gigauri.lela87@gmail.com
- ნატო ალთუნაშვილი, მერიის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი, ტელ: 591653688
- ნათია ებრალიძე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ტელ: 598 656161, ელფოსტა: natiaebralidze1995@gmail.com

- **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

  იხ.დანართები, აგრეთვე პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგ ლინკზე:

  http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/?p=733

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 18 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე bp@nala.ge

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge